მატჩი დონეცკში

დონეცკი. ”შახტიორის” ცენტრალური სტადიონი. 12 სექტემბერი.

”შახტიორი” (დონეცკი) – ”დინამო” (თბილისი) 4:1 (3:0).

”შახტიორი”: ჩანოვი, ვარნავსკი, შჩერბაკი (გორბუნოვი), კონდრატოვი, პიანიხი, დიბჩენკო (აკიმენკო), გოშკოდერია, სოკოლოვსკი, კრავჩენკო, ფედორენკო, გრაჩოვი.

”დინამო”: გაბელია (მჭედლიშვილი), ხიზანიშვილი (ჭილაია), მელიქია, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, ჟვანია, გუცაევი, ანდღულაძე, შენგელია.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 4:0.

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში დონეცკის “შახტიორს” გარკვეული ჩავარდნა ჰქონდა, თუნდაც, იმ პერიოდში, როცა იგი თბილისში ჩამოვიდა და დინამოელებთან ფრედ ითამაშა პირველ წრეში – 1:1. მაშინ დონეცკელები მე–12 ადგილზე იმყოფებოდნენ, თბილისელები კი ლიდერთა შორის იყვნენ.

ამ ჩამორჩენას “შახტიორმა” თავი დააღწია იმით, რომ საფუძვლიანად განაახლა შემადგენლობა, მწვრთნელებმა უარი თქვეს ვეტერანებზე, კერძოდ, ვ. სტარუხინზე, ძირითად შემადგენლობაში ადგილები მიანდეს ახალგაზრდებს და მდგომარეობაც თანდათან გამოსწორდა. გუშინდელი მატჩის წინ დონეცკელებს მეხუთე ადგილი ეკავათ გათამაშების ცხრილში. თბილისის “დინამოს” კი – მესამე და მეტოქეს უსწრებდა 4 ქულით.

ამ მატჩის საანგარიშო წერილში არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, რომ თბილისის “დინამო” თითქმის განახევრებული შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე. არ თამაშობდნენ ყიფიანი, ჩივაძე, სულაქველიძე, კოსტავა, კაკილაშვილი, მუჯირი, ეს კი ის წამყვანი ფეხბურთელებია, რომლებიც ჩვენი გუნდის მთავარ ძალას წარმოადგენს საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში.

შეხვედრის პირველი წუთების ორმხრივი ბრძოლის შემდეგ ინიციატივა “შახტიორმა” აიღო ხელთ, მე–11 წუთზე სტუმრების კართან მცველები არასწორად განლაგდნენ და ღიად დატოვეს კრავჩენკო, რომელმაც ზუსტად ითამაშა თავით – 1:0.

შემდგომში დინამოელებმა რამდენიმეჯერ სცადეს მეტოქის კარის აღება, ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ შენგელიას, დარასელიას, ჟვანიას, იყო ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ დონეცკელებმა კვლავ წინ გადაიტანეს თამაში და ტაიმის დასასრულს ზედიზედ ორჯერ მიაღწიეს წარმატებას: ჯერ შორი მანძილიდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა ვარნავსკიმ, მერე კი კრავჩენკომ ანგარიში 3:0–მდე აიყვანა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა (სვანაძე, თავაძე, დარასელია) ისევ შექმნეს სახიფათო ვითარებანი “შახტიორის” კართან, 73–ე წუთზე ჟვანიამ საჯარიმო დარტყმით შეამცირა კიდეც სხვაობა ერთი ბურთით, მაგრამ მატჩის დასასრული კვლავ მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და იმავე კრავჩენკომ, რომელმაც ამ დღეს “ჰეთ–თრიკი” შეასრულა, საბოლოო წერტილი დაუსვა ანგარიშს – 4:1.

“ლელო”, 13 სექტემბერი 1981 წ.